



**საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის
პროექტის განხილვის პროცედურის
დანახვის შესახებ**

№ 43/2

25 მარტი, 2013 წელი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში
„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“
(N07-3/72, 21.03.2013)

დასახელება

საქ. პარლამენტის წევრები:
ი. იმერლიშვილი, ი. ჯაჭვლიანი, თ. ჯაფარიძე

ინიციატორი

საქ. პარლამენტის წევრი ი. იმერლიშვილი

ავტორი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

21. 03. 2013.

შემოსვლის თარიღი

წამყვან კომიტეტზე - 26.03 - 01.04
სხვა კომიტეტებზე - 26.03 - 01.04

საკომიტეტო მოხმენის სავარაუდო თარიღი

03.04; 05.04

პლენარულ სხდომაზე
განხილვის სავარაუდო თარიღი

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის
კომიტეტი;
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში
დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი



საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№43/8

2013 წელი, 25 მარტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის ირინე იმერლიშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: ირინე იმერლიშვილის, იოსებ ჯაჭვლიანისა და თამაზ ჯაფარიძის საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (N07-3/72, 21.03.2013) საქართველოს ორგანული კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 25 მარტის №43/2 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ დაჩქარებული წესით განიხილოთ საქართველოს პარლამენტის წევრების ირინე იმერლიშვილის, იოსებ ჯაჭვლიანის და თამაზ ჯაფარიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი "საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

პატივისცემით,


პარლამენტის წევრები:



ირინე იმერლიშვილი



იოსებ ჯაჭვლიანი



თამაზ ჯაფარიძე



საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032) 154-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც მათი რაოდენობა სამს მიაღწევს, ტარდება შუალედური არჩევნები. შუალედური არჩევნები ტარდება ამ კანონით დადგენილი წესით, ზემოაღნიშნული მდგომარეობის წარმოქმნიდან უახლოეს თებერვალში, ივნისში ან ოქტომბერში, თუ შესაბამისი თვის ბოლომდე 70 დღეზე მეტია დარჩენილი, ხოლო თუ დარჩენილია 70 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ტარდება ზემოაღნიშნულთაგან შესაბამის მომდევნო თვეში. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

„საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შუალედური არჩევნების დამატებითი ვადების დაწესების აუცილებლობით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ არანაკლებ 5 წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, უახლოეს სექტემბერ-ოქტომბერში, ამ კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. თუ შუალედური არჩევნების ჩატარებამდე დარჩენილია 60 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ტარდება მომავალი წლის სექტემბერ-ოქტომბერში. აღნიშნული ჩანაწერი საკმაოდ დიდი ვადით შეუძლებელს ხდის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან საკრებულოს წევრის არჩევას, რითაც პრობლემები ექმნება როგორც ამომრჩეველს, ასევე საკრებულოს ეფექტურ ფუნქციონირებას, ვინაიდან საკრებულოს წევრების გამოკლებით მეტად რთულდება საკრებულოების მუშაობა და გადაწყვეტილების მიღება. ამჟამად მოქმედი ნორმით შუალედური არჩევნები ასევე არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 2 წელზე ნაკლები, რის გამოც შესაძლოა, რომ საკრებულოს საქმიანობა პარალიზებული აღმოჩნდეს თითქმის 2 წლის განმავლობაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია საკრებულოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა, რისთვისაც საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების გამოკლების შემთხვევაში საკრებულოს შემადგენლობა შეივსება არა წელიწადში ერთხელ, არამედ სამჯერ და, ამასთან, საკრებულოს შუალედური არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა გაიზრდება ორიდან სამ წლამდე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსია საკრებულოს მაჟორიტარული შუალედური არჩევნების გამართვის ვადისა და სიხშირის გაზრდა. კერძოდ, შემოთავაზებული ორგანული კანონის პროექტით, საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც მათი რაოდენობა სამს მიაღწევს, ტარდება შუალედური არჩევნები. შუალედური არჩევნები ჩატარდება ამ კანონით დადგენილი წესით უახლოეს თებერვალში, ივნისში ან ოქტომბერში, თუ შესაბამისი თვის ბოლომდე 70 დღეზე მეტია დარჩენილი, ხოლო თუ დარჩენილია 70 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ტარდება ზემოაღნიშნულთაგან შესაბამის მომდევნო თვეში. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში საშუალო ხშირად მოხდება საკრებულოს შემადგენლობის შევსება. გარდა ამისა, პერიოდი, რომლის განმავლობაშიც არ ტარდება შუალედური არჩევნები (საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 2 წელი) 2 წლიდან 1 წლამდე მცირდება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შეცვლას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას, ვინაიდან მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული საკრებულოს წევრის გამოკლების შემთხვევაში არჩევნები სხვადასხვა საარჩევნო ოლქში შესაძლებელია ჩატარდეს წელიწადში საშუალო და მათი ერთდროული ან სხვადასხვა დროს სხვადასხვა საარჩევნო ოლქში ჩატარება გამოიწვევს საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების) ხარჯების გაზრდას. ამასთან, ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 2-წლიანი ვადის შემცირებას 1 წლამდე, ესეც გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია ირინე იმერლიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორებია საქართველოს პარლამენტის წევრები: ირინე იმერლიშვილი, იოსებ ჯაჭვლიანი, თამაზ ჯაფარიძე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ ის
მოქმედი მუხლი რომელშიც შედის ცვლილება

მუხლი 154. საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი

1. თუ პროპორციული წესით არჩეულ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ იგი ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

2. თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი პარტიის წევრია, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიის რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო კანდიდატი და ა. შ.. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

3. თუ საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ არანაკლებ 5 წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, უახლოეს სექტემბერ-ოქტომბერში, ამ კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. თუ შუალედური არჩევნების ჩატარებამდე დარჩენილია 60 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ტარდება მომავალი წლის სექტემბერ-ოქტომბერში. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 2 წელზე ნაკლები.

4. შუალედური არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს ცესკო. იგი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 2 თვისა განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს.

5. შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატები იკავებენ საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული გამოკლებული წევრების ადგილებს საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.